

**შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო**



**უნივერსიტეტი**

„დამტკიცებულია“

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე

რექტორი ანზორ მარაშენიძე

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლევადიანი (სამწლიანი)**

**სტრატეგიული გეგმა**

**(2019-2021 სასწავლო წლები)**

**თბილისი 2019**

### **მიზანი:**

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - თდასუ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიან (სამწლიან) განვითარების სტრატეგიულ გეგმას და მიზნად ისახავს 2019-2021 პერიოდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი და საჯარო სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას, რომელიც ითვალისწინებს “**დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე**” ციკლს.

### **ძირითადი პრინციპები:**

- ა) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სისტემა მოკლევადიანი სამწლიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელება 2019-2021წწ;
- ბ) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, სასწავლო პროცესის შეფასების ობიექტურობა, საჯაროობა და გამჭვირვალობა მთელი პერიოდის განმავლობაში;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, სასწავლო პროცესის წარმართვასა და კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა თვითმმართველობის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების და დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობა მოკლევადიანი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად.

### **მიზნისა და შედეგების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებები: -2019-2021 წწ პერიოდში**

1. 2019-2021 წლებში ჩასარიცხ პირველკურსელთათვის შეხვედრის ორგანიზებაში თანამონაწილეობა და მათი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა /ავგისტო - სექტემბერი/ მოცემულ პერიოდში ეტაპობრივად;
2. 2019-2021 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა შიდა გამოცდების ორგანიზების ხელშეწყობა-მონიტორინგი - /სექტემბერი/- ეტაპობრივად სამი წლის განმავლობაში;
3. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აუდიტი აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში, თვითშეფასების მომზადება 2019წ;
4. თსაუ-ში მოქმედი პროფესიულ, საგანმანათლებლო პროგრამების ახალი სტანდარტების შესაბამისად ავტორიზაციისათვის მომზადება;

5. შიდა და გარე მობილობის ადმინისტრირების ხელშეწყობა და ამ პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფა; /სექტემბერი-ოქტომბერი; თებერვალი-მარტი/
6. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობით გადმოსულ სტუდენტთა კრედიტების აღიარებაში პროგრამის ხელმძღვანელთა ხელშეწყობა-მონიტორინგი; /სექტემბერი; თებერვალი/- ეტაპობრივად 2019-2021წწ.
7. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების კითხვარის მომზადება და დამტკიცება-2019-2020წწ;
10. სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის „ანკეტა-კითხვარის“ გადამუშავება, განხილვა და დამტკიცება 2019-2021წწ;  
(კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლები და დამსაქმებლები);
- 11.სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ანონიმური„ანკეტა-კითხვარის“ გამოკითხვის ჩატარება, მისი ანალიზი, განზოგადება და შედეგების წარდგენა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის-2019-2021 წწ. ეტაპობრივად;
12. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე თდასუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ღონისძიებების დასახვა, დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა-2019-2021წწ;
- 13.სასწავლო პროცესის პერიოდული მონიტორინგი სილაბუსის შესაბამისად 2019-2021წწ; პერიოდი /ნოემბერი-ივნისი/
- 14.სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აკადემიური პერსონალზე/ლექტორზე დაკვირვების საფუძველზე,არსებული კურსების შეფასებადა სასწავლო მასალის განახლების შემთხვევაში მათი კორექტირება შემდგომი სრულყოფის მიზნით2019-2021წწ პერიოდულად;
- 15.სტუდენტის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების მონიტორინგი; 2019-2021 წწ; პერიოდი სემესტრულად მერვე კვირის შემდეგ;
- 16.სტუდენტის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ასახვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში 2019-2020წწ პერიოდულად;
- 17.ბოლონის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისად დიპლომისა და დიპლომის დანართის შედგენის მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება 2019-2020 წწ პერიოდულად;
18. აკადემიური და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტრენინგების ორგანიზება, ასევე, საერთაშორისო ტრენინგებში მათი ჩართვის ხელშეწყობა- /სექტემბერი-ივლისი/ ეტაპობრივად 2019-2020 წწ;
19. აკრედიტებული პროგრამების წლიური ანგარიშის /აპრილი - მაისი/-2019-2020 წწ;

20. თდასუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის მზაობის შეფასება და მონიტორინგი-ეტაპობრივად/მაისი - ივნისი/-2019-2020 წწ;
- 21.სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და კონტაქტების დამყარებაში მონაწილეობა, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე;
- 22.სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტთა შიდა და უნივერსიტეტაშორისი გაერთიანებული კონფერენციების ორგანიზებაში ჩართულობა თავის კომპეტენციის ფარგლებში ეტაპობრივად 2019-2020 წწ;
23. თდასუ-ს მიმდინარე პროგრამების ფარგლებში დარგის აქტუალური ლიტერატურის განახლებაში თანამონაწილეობა; /სექტემბერი-ივლისი/
24. საკანონმდებლო ცვლილებებისათვის თვალყურის მიდევნება და თდასუ-ს სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა; /სექტემბერი-ივლისი/
- 25.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშის წარდგენა აკადემიური საბჭოსთვის /აგვისტო/ 2019-2020 წწ. ეტაპობრივად;